სახალხო გაზეთი

№ 475 ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 475

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაზან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლის

„სახალხო გაზეთზე"

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

„სურათებიანი დამატება"

(კვირაობით).

პრემიად 1912 წლის წლიურ ხელის-მომწერთ მიეცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი **„გრდემლი"**, რომელიც „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციამ შეიძინა სრულ საკუთრებად. კრებული დახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ დაურიგდება **იანვარშივე**.

გაზეთის ფასი წლით 8 მ. 50 კ. ერთი თვით 75 კაპ.

ხელის-მომწერმა, რომელიც **პრემიის** მიღებას ფოსტით მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ექვსი შაური**. ქუთაისისა, ბათუმისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის-მომწერნი მიიღებენ **პრემიას** ადგილობრივ აგენტებთან.

ხელის მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მ. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით მხოლოდ შემდეგ ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მან.; 1 მარტამდე—2 მან.; 1 მაისამდე—2 მან. და დანარჩენი 1 მ. და 50 კ. 1 ივლისამდე.
2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლ. გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა და უქმეებისა. 20 დეკემბრიდან-კი ღია იქნება: დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
2) **ქ. შ. წ. კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში:** სასახლის ქ., თ. აზნ. ქარვასლა.
3) **ფოსტით:** Тифлисъ, груз. газ. „Сахалхо Газети", п. ящ 190.

წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ: წიგნის მაღაზიებს, რომელნიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს 29 დეკემბრისა საკომისიოდ მიეცემათ 5%.

ტელეფ. № 795 **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

— იაფ-ფასიანი წარმოდგენა —

ხუთშაბათს, 15 დეკემბერს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
ხელმეორედ ცნობილი პიესა ჯერომ-ჯერომისა

„ქალის ჭკუა"

მისს ჰობს. კომედია 5 მოქ. თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ვიქტორელი, კარგარეთელი, პიერეტა, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ბერიშვილი, გუნია, მგალობლიშვილი, შათირიშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ერთი-ორად დაკლებულია.

ანონსი· შემდეგი წარმოდგენა კვირას, 18 დეკემბერს, ბენეფისი ა. მ. კარგარეთელისა:—მადამ სან-ჟენ. მზადდება: „იულიუს კეისარი", „ანტიგონე".

რეჟის. კ. შათირიშვილი. (2—988—1) ქართული დრამატ. საზ. ადმინისტრაცია.

ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 18 დეკემბერს (დილით), 1911 წ. ი. გრიშაშვილის მიერ გამართული იქნება

სალიტერატურო დილა სამს განყოფილებად.

I. ლექციები ქართულად:

1) **გიორგი ფხაზავა** წაიკითხავს ლექციას: ტოლსტოის **„ცოცხალ გვამზე"**
2) **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს ლექციას: **„როგორ შესდგა ქართველი ერი"**

II. ლექსები, მოთხრობები, კუპლეტები და სიმღერა:

გოგო ყიფიანი: „დახე ჩვენი ქალაქი რა რიგად გამოცვლილა", ბ. ახოსპირელი „ნანი-ნანა", ქ-ნი ცქვიტი „მიქელ ანჯელო", თ-დი კოლა ერისთავი „ცანდეგილიდან", კონსტან ანდრონი „ესკიზი", სოფრ. მგალობლიშვილი „გლეხური სცენები", მ. ნემოც (ქუთათური მსახიობი) „იმერულ-ებრაულური სცენები".

მესამე განყოფილება:

ალ. წუწუნავა „ტყემიც" ია ეკალაძისა, გ. მაყაშვილი „ამირანი", ა. ადამიძე „კინტოური სცენები", ზვ. ყიფიანი „მთვრალი ინდაურები", ოსიკო ბარათაშვილი „სიმღერა თარზე", ი. გრიშაშვილი „ოლ-ოლ!" შ. საყვარელი და ნ. გოცირიძე იმღერებენ ახალ კუპლეტებს „გაი-ვუის" ხმაზე.

ადგილების ფასი 5 კ—დან 50 კ—მდე, დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე, ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე ბ. ახოსპირელი. (1—1686—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ვერდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—195

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი **ვერბიცკაია-ფირადოვისა** ე. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დევდარიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.

შელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ ყოველ-დღე 12½—1 ს.

თრემბიცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხანდალოვსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდაბაშოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით, (წ.—1089—630)

ახალი კლუბი

რადგანაც 8 დეკემბერს, 1911 წ. **საზოგადო კრება კლუბის წევრთა** არ შესდგა, წევრთა და მუდმივ სტუმართა ამოსარჩევად, დანიშნულია მამასახლისთა საბჭოსაგან

განმეორებითი საზოგადო კრება

ხუთშაბათს, 15 დეკემბერს. დასაწყისი საღ. 8 ს. (2—1608—2)

საჭიროა პავილიონი სამხატვრო სახელოსნოსათვის.

სასურველია ქალაქის შუაგულში იყოს.

აცნობეთ შემდეგის მისამართით: სასახლის ქუჩა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, № 6. სასტუმრო „პალე როიალი", № 17. იკითხეთ მხატვარი კ. ქავთარაძე.

(5—1439—1)

„მ. სეილანოვები"-ს ახლად გახსნილ საქარხნო მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტი, სახ. ზუბალაშვილისა, № 8

განსაკუთრებით ვურჩევთ მოიკითხოთ

თუთუნი „ეგვიპტისა",

შეუდარებელი შერჩეული ხარისხისა

გირვანქა—2 მ 40 კ.-დან – 10 მანეთამდე.

თუთუნი, სიგარები და პაპიროსები, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფირმებისა 10% დაკლებით.

ათასგვარი ხელსაწყო თუთუნის წევისა. (100.1622.5)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინი.**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—55)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. მოსტოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. შელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წო. 1090—234)

ექიმი მ. ნ. მაზაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წლევებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 383. 25—1442—93

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.34)

ექიმი მ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 1[illegible] ([illegible] 53)

ექიმი გ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—46)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

ექიმი ი. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-მდე და საღამოს 6—7 საათამდე.

მელიქბეგის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—60)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადედაკაცო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადედაკაცო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—66)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.

ქუჩის მხარ. N 5.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—74)

ექიმი მ. ს. კობერიძე ქ. გორში

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9—12 საათამდე და საღამოთი— 5—7 ს-მდე. სემინარიის ქუჩაზე, სახლი № 1, ზანგურიძისა. (25—968—7)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს **ექიმი გ ლოლობერიძე**

ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—19)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N [illegible] სახლი [illegible]

ქირავდება საუნჯე და ოთხი მშრალი სარდაფი,

რომელიც ივარგებს საქონლის საწყობადაც. სოლოლაკის ქუჩაზე, ოტენის სახლში, № 8. (3.984.1)

არჩევნების შემდეგ

2

წრევანდელ არჩევნებში რუსების გამოსვლასაც განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა. რუსები წინადაც ყოფილან დაინტერესებულნი ქალაქის საქმეებით, მაგრამ წრეულს ამ ინტერესმა ის სპეციფიური ხასიათი მიიღო, რანაირიც საზოგადოდ „რუსულმა იდეამ" რუსეთში. როგორც გამოირკვა, რუსებს ტფილისში საკმაოდ დიდი ძალა ჰქონიათ. რუსები ვაჭრობა-მრეწველობას არ მისდევენ; მაგრამ მაინც საკმაოდ სახლის პატრონები აღმოაჩნდათ. ინტენსიურ მუშაობას. რუსებში შეეძლო შეექმნა საკმაოდ ძლიერი საარჩევნო ჯგუფი, რომელიც შესამჩნევ გავლენას მოახდენდა არჩენების პროცესზე. მიუხედავად ამისა, რუსებმა მაინც ვერ შეჰქმნეს ძლიერი საარჩევნო ჯგუფი, მაგრამ იმათი როლი წრევანდელ არჩევნებში ამ მხრით არ არის საინტერესო. წელს განსაკუთრებულის სიძლიერით იჩინა თავი იმ ნაციონალისტურმა მიმართულებამ, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებადაც ტიმოშკინი და პურიშკევიჩი უნდა ჩაითვალოს. ეგრეთ წოდებული „შავ-რაზმელები" უწინაც ყოფილან და ეხლაც არიან; მაგრამ იმათ ხმას უწინაც კი, როდესაც რუსეთში „განახლებული" წეს წყობილება არ იყო, არავითარი ფასი და ძალა არა ჰქონდა. დღეს კი, მიუხედავად იმისა რომ რუსეთში სახალხო წარმომადგენლობაა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც ბევრს კარგს რამეს გვპირდებოდა, ჭეშმარიტ რუსთა დაუსაბუთებელ წუწუნსა და მოთქმას მეტს ყურადღებას აქცევენ. სტოლიპინის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ იმდენად მოჯადოვა რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი, რომ დღეს სახელმწიფო სათათბირო ხშირად თვით სტოლიპინზე შორს მიდის და მხოლოდ იმაზე და ჰფიქრობს, თუ როგორ ჩააყენოს არა რუსები აუტანელ მდგომარეობაში. არამც თუ ჭეშმარიტ რუსებს, ოქტომბრისტებსაც კი, რომლებიც რაღაც წარმოუდგენელ მიუწდომელ მიზეზებისა გამო თავიანთ თავს კონსტიტუციონალისტებს ეძახიან, ყველა არა რუსი, აშკარაა თუ არა, რუსეთის სახელმწიფოს პოტენციალურ მტრად სახავენ და, თანახმად ამ გვარ შეხედულებისა, ყოველ შემთხვევით სარგებლობენ არა რუსთა უფლებების შესაზღუდავად. ასეთია მოქმედება რუსის ნაციონალისტებისა და ისეთი „კონსტიტუციონალისტებისა", რანაირიც „ოქტომბრისტები" არიან.

ამ განსაკუთრებულმა ნაციონალისტურმა მიმართულებამ ამიერკავკასიის რუსებში მაგრად მოიკიდა ფეხი. „გოლოს კავკაზა" იდეიური გამომხატველია ამ ჯურის ნაციონალისტთა გულის ზრახვათა. ვინც ამ გაზეთს სისტემატიურად კითხულობს, ეცოდინება, რა თვალით უცქერის იგი ადგილობრივ მცხოვრებლებს, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში ხედავს იგი სახელმწიფოს სამსახურს. იგი არამც თუ რუს მცხოვრებთა ინტერესებს იცავს, არამედ საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ მცხოვრებთა ინტერესები სავსებით ექვემდებარებოდეს რუს მცხოვრებთა ინტერესებს. რუსები გაბატონებული ერია და სხვებმა, როგორც დამორჩილებულებმა, თავისსავე ხელით ფრთები უნდა შეაკვეცონ თავიანთ კანონიერ სურვილებს და ისეთს გზას დაადგნენ, რანაირსაც რუს მცხოვრებთა ინტერესი მოითხოვს. თუ ასე არ მოიქცნენ, რუსის სახელმწიფოს მოღალატენი იქნებიან. ასეთს აზრებს ასვითარებს „გოლოს კავკაზა“. ადგილობრივ მცხოვრებნი, რა თქმა უნდა, ვერ გაიზიარებენ ამ გვარ შეხედულებას. თავისუფალი კულტურული განვითარება პატარა ერისა სახელმწიფოს ღალატი არ არის, და „გოლოს კავკაზა“-ს უსაფუძვლო მოთხოვნა, რასაკვირველია, დაუკმაყოფილებელი დარჩება. ამას ძალიან კარგად ჰხედავენ რუსის ნაციონალისტები და თავიანთ მიზნების განსახორციელებლად ისეთს საშუალებას მიჰმართავენ, რაც უკვე ნაცადი აქვს რუსეთის ბიუროკრატიას. კურიალური სისტემა არჩევნებისა,—აი ის ლოზუნგი, რომელსაც იცავდა სტოლიპინი და რომელსაც მოითხოვენ დღეს რუსის ნაციონალისტები „გოლოს კავკაზა“-ს მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის უმაღლესს მთავრობას ცოტა სხვანაირი ტრადიციები აქვს. პირველი ვორონცოვი ასეთს უკიდურეს რუსულ ნაციონალისტურ პოლიტიკას არ აწარმოებდა; პირიქით, იგი სცდილობდა ქართული მწერლობა და კულტურა აყვავებულიყო. რა აზრით აწარმოებდა პირველი ვორონცოვი ამ გვარ პოლიტიკას, რანაირ შედეგს მოელოდა მისგან, ეს სულ სხვა საკითხია. მხოლოდ ის მაინც ფაქტად რჩება, რომ ქართველებს იგი სახელმწიფოს მოღალატეებად არა სთვლიდა და არც ქართულ კულტურის განვითარებაში ხედავდა რუსეთის საფრთხეს. ეხლანდელი წარმომადგენელი უმაღლეს მთავრობისა სცდილობს, რამდენადაც კი შეცვლილი პირობები ხელს უწყობს, განაგრძოს პირველ ვორონცოვის ტრადიციები. გარეგნულად მაინც მისი მოღვაწეობა ასეთს შთაბეჭდილებას სტოვებს. მიუხედავად ამისა ადგილობრივი ადმინისტრაცია იმსჭვალება იმ ნაციონალისტურის აზრებით, რომლებითაც სტოლიპინი იყო გამსჭვალული. ეს პოლიტიკა შემდეგში უფრო გაძლიერდება და განვითარდება. პეტერბურგის მემარჯვენე პრესაში ხშირად უცხადებენ საყვედურს ეხლანდელ ნამესტნიკს და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების მოსარჩლედ გამოჰყავთ იგი. ძალიან ცოტა სიმართლეა ამ ბრალდებაში, მაგრამ იგი მაინც საყურადღებოა. იგი გვიჩვენებს, თუ რა უკულტურობამდე მიდის ამიერ-კავკასიის რუს ნაციონალისტთა სიძულვილე ადგილობრივ მცხოვრებისადმი.

ყველა ამას არც ისეთი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, თვით ადმინისტრაციაც თან და თან რომ არ იმსჭვალებოდეს ამ გვარ აზროვნებით. წრევანდელ არჩევნების ხასიათი შესამჩნევად შესცვალა იმ გარემოებამ, რომ მთელი ქალაქი შვიდს საარჩევნო უბნად დაიყო, ამ ცვლილების შესახებ თავის დროზე იბეჭდებოდა წერილები ჩვენს გაზეთში. ეხლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ დანაწილებაში გამოიხატა სურვილები და სიმპატიები ადგილობრივ ადმინისტრაციისა. წინანდელი გუბერნატორი ლოზინო-ლოზინსკი, ენერგიული მომხრე ტფილისის საარჩევნო უბნების გამრავლებისა, სხვათა შორის, იმითაც ასაბუთებდა თავის აზრს, რომ ეს ცვლილება ყველა ერთ მისცემს საშუალებას უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ისეთი კანდიდატები აირჩიონ, რანაირიც თვითეულს მათგანსა ჰსურსო. გუბერნატორს, რა თქმა უნდა, რუს მცხოვრებთა მდგომარეობა აინტერესებდა. ეს იყო პირველი ცდა ადგილობრივ ადმინისტრაციისა ხელოვნურ პირობების შექმნისა რუს მცხოვრებთა ინტერესების დასაცველად. მაგრამ, როგორც არჩევნების შემდეგ გამოირკვა რუს ნაციონალისტების ორგანო მაინც კმაყოფილი არ არის. რუსებმა სხვებზე მეტი აბსენტეიზმი გამოიჩინეს და ისიც ვერ მიიღეს, რაც მიღებაც მათ ხელთ იყო. „გოლოს კავკაზა“ კვლავ განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ რუსთა ინტერესების დასაცველად საჭიროა კურიალური სისტემა. იმასაც კი ჰსწუხს, თუ რომელ ერს ადგილი უნდა ეჭიროს ქალაქის თვითმმართველობაში. ყველაზე მეტი ადგილი უნდა დაეთმოს რუსებს, როგორც გაბატონებულ ერს; მერე ქართველებს და სულ ბოლოს კი სომხებს. როგორ შეჰხვდება ადგილობრივი ადმინისტრაცია „გოლოს კავკაზა“-ს პროექტს, არ ვიცით, მაგრამ თვით იდეა რუსთა ინტერესების უზრუნველყოფისა ხელოვნურის საშუალებით რომ ჭკუაში დაუჯდება, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა.

საქმე იმაშია, რა დროს აირჩევს ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ „რეფორმის“ განსახორციელებლად ან რანაირს საშუალებას მიჰმართავს.

ყველა ის, რაზედაც ამ წერილში ვლაპარაკობდით, ჩვენ იმნაირ ახალ მომენტად მიგვაჩნია, რასაც წინად ადგილი არა ჰქონია და რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენის ცხოვრების მემატიანემ.

არ. ჯ—შვილი.

კათალიკოსის არჩევნები

დეპეშები.

ეჩმიაძინი (საკუთარ კორესპ.). კრება დაიწყო შუადღის 12 საათზე. დაესწრო ყველა 114 წარმომადგენელი. პარაკლისის შემდეგ არქიეპისკოპოსი სუქიასი წამოდგა, კრებულს თავი დაუკრა, მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და 32 დეპუტატის მიერ ხელმოწერილი პროტესტი წარუდგინა. ამ პროტესტში ნათქვამია, კრება კანონიერი არ არისო, რის გამოც ამ 32 დეპუტატმა გადასწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს და კრება დასტოვონ. 32 დეპუტატი კრებიდან გავიდა, გარედ თავმოყრილი ხალხი მათ აღტაცებით მიეგება. არჩევნების შედეგს გაცნობებთ.

ეჩმიაძინი. დღეს კათალიკოსის ასარჩევად კრება მოხდა. დაესწრო გრაფი ტიზენჰაუზენი. ეჩმიაძინის სამონასტრო ძმობის საბჭოს უხუცესმა არქიეპისკოპოსმა სუქიასმა დეპუტატთა კრებას სიტყვით მიჰმართა და განაცხადა: „ვინაიდან ოსმალეთის სომეხთა საპატრიარქო მთავრობამ დელეგატების არჩევნებში უკანონობა ჩაიდინა, დღევანდელ კრების დეპუტატთა შემადგენლობა უკანონოდ არჩეულად მიმაჩნია. ამის გამო სურვილი არა მაქვს მონაწილეობა მივიღო ისეთ სერიოზულ საქმეში, როგორიც არის სრულიად სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლის არჩევა“. ამასთანავე კრებას წარუდგინა ტფილისისა, ასხაბადისა, შემახისა და ბესარაბიის ეპარქიათა წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი პროტესტი, რომელზედაც ხელს აწერს ექვსი არქიეპისკოპოსი, ცხრა არქიმანდრიტი, დეკანოზები და ერისკაცი დეპუტატები. არქიეპისკოპოსი სუქიასი ამასთანავე კრებიდან გავიდა. მას თან გაჰყვა პროტესტზე ხელის მომწერი 28 დეპუტატი, რომელთაც რწმუნებულებით 32 ხმა აქვთ. კრებიდან გასულ დეპუტატთა რიცხვი რუსეთისა და ოსმალეთის მცხოვრებ სომეხთა წარმომადგენლების თითქმის ნახევარს უდრის. იგინი არიან რწმუნებულნი შემდეგის ეპარქიებისა: ტფილისისა, ყარაბახისა, შემახისა და ბესარაბიისა:

ნაფიცი ვექილი სპენდარიანი ს. ჩერქესოვი, მედიცინის დოქტორი ზაქარიანი და ნაფიცი ვექილი გ. ჩუბარი.

ტაძარში დარჩენილმა დეპუტატებმა სრულიად სომეხთა საკათალიკოსო კანდიდატად ოთხი დაასახელეს. დურიანი—84 ხმით, სურენიანი—86 ხმ., მესროფი—78 ხმ. და ოვაქიმიანი—63 ხმ.

არაქელიანი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თ. ი. როდიჩევი** მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა და 24 და 25 დეკემბერს ლექციებს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: 1) „გლეხთა განთავისუფლება“ (1861 წლის 19 თებერვლის რეფორმა) და 2) „ა. ი. გერცენი მისი ნაწარმოებნი“.

◆ **საუნივერსიტეტო მიწა** (200 დეს.) ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა 1.320,000 მანეთად შეაფასა და თანხმობა გამოაცხადა ქალაქის თვით-მმართველობისაგან გრძელის ვადით დაიგირაოს 792,000 მან. ფული შეტანილ იქნება სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში, როგორც შეწირულება ტფ. უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

◆ **მათემატიკის მასწავლებელთა კრებაზე**, რომელიც საშობაოდ პეტერბურგში მოხდება, კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლად ტფ. ვაჟთა მესამე გიმნაზიის დირექტორი ბ. კ. კრამარენკო იგზავნება.

◆ **ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა საპენსიო წესდების** განხილვა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ 17 დეკემბრისთვის გადასდო.

◆ **ქუთაისის წყალსადენის** გაყვანის პროექტი ნამესტნიკის კანკარგულებით უკან უბრუნდება ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობას ხელ-ახლად შესასწორებლად.

◆ **იორდანეს** გაკეთებას წელს ვერის ხიდის ზემოდ აპირებენ.

◆ **ტრამვაისგან დაშავებული.** 12 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი № 52 მხერხავს ივანე ასლანოვს დაეჯახა და ფეხებში მსუბუქად დააშავა. ასლანოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს ნოემბრის ნომერი, რომელიც ჩვეულებრივ საინტერესოდ არის შედგენილი.

◆ **ქალის მოკვლა.** 12 დეკემბერს, საღამოს 8 ნახ. საათზე, კრილოვის ქუჩაზე, სახლის № 1 ეზოში საზარელი დრამა დატრიალდა: ვიღაც უცნობებმა ბებუთით მოჰკლეს 15 წლის ქალი ალექსანდრა ვასილის ასული პეტროვისა, რომელიც მზარეულად იყო ნაფიც ვექილის თანაშემწე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კუზმინთან. უცნობებს ქალისთვის სასიკვდილო ჭრილობა მიუციათ გულში, მარცხენა მხარეს, ძუძუს ზემოდ. დაუჭრიათ აგრეთვე მარჯვენა მხარესაც. მარცხენა ხელზე ქალს ცერი მოჭრილი აღმოაჩნდა. როგორც გამოირკვა, პეტროვის ქალი მეზობლებს უნახავთ, როდესაც ის ორ ახალგაზდას ელაპარაკებოდა ეზოში. ერთს მემუსიკე ჯარის კაცის ფორმა სცმია, ხოლო მეორეს სტატსკური. უნახავთ აგრეთვე, რომ ეზოდან უცებ მემუსიკე გამოვარდა და დიდის მთავრის ქუჩისკენ გაიქცა. საპოლიციო ძაღლების შემწეობით შეპყრობილ იქმნენ უცნობნი. აღმოჩნდნენ: ტფილისის მცხოვრები სურენ გრიგოლის ძე მარტიროსიანცი, 17 წლისა, და ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები სარქის კარაპეტას ძე მელკუმოვი. მარტიროსიანცი მატინიანცის საგასტრონომიო მაღაზიაში ნოქრად ყოფილა. მემუსიკე ჯარის კაცის ტანისამოსი გამოურთმევია თავის ძმისთვის, რომელიც ერთის თვის წინად ჩამოსულა ტფილისში. მკვლელობის ჩადენის შემდეგ სახლში დაბრუნებულა და ფორმა გაუხდია. ქალის მოკვლის მიზეზი არ იციან. ჰფიქრობენ, მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე უნდა იყოს ჩადენილი. ქალის გვამი მიხეილის საავადმყოფოს ანატომიურს თეატრში გაჰგზავნეს.

◆ **ცეცხლი.** 13 დეკემბერს, ღამის 3 ნახ. საათზე, მიხეილის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სოფიო ივანეს ასულ ყარალაშვილის სახლს, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია ტფ. მაზრის საპოლიციო სამმართველო და საგუბერნიო სამხედრო საკრებულო. ცეცხლი დროზე ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ცეცხლმა გააფუჭა მაზრის უფროსის კაბინეტი, მისაღები ოთახი და სამხედრო საკრებულოს მდივნის სადგომი.

◆ **ტფილისში ცეცხლის გაჩენა გახშირდა**, ამიტომ პოლიცმეისტრის კანცელარიაში კრება მოხდა ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად. კრებას დაესწრნენ: საგუბერნიო ინჟენრის თანაშემწე ვასილიევი, ქალაქის ინჟენრები ქურდიანი და კოგნოვიცკი, ქალაქის სამეურნეო პოლიციის უფროსი ბ. ს. ბაბოვი და სხვანი. საკითხის გამორკვევა ამ მრავალრიცხოვან კრებაზე შეუძლებლად იქმნა ცნობილი და საგანგებო კომისია იქმნა არჩეული ბ-ნ ვასილიევის თავმჯდომარეობით.

◆ წარსულ ნოემბრის განმავლობაში ტფილისში 116 ბოროტმოქმედება მომხდარა, რომლის გამო შეუპყრიათ: ბოროტ-მოქმედების ადგილას — 77 კაცი, ხოლო ეჭვით—64. ამას გარდა წინად ჩადენილ ბოროტმოქმედების გამო შეუპყრიათ—10 კაცი.

◆ 12 დეკემბერს ტფილისში 54 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ 12 დეკემბერს, საღამოს 10 საათს, ფეთხაინის აღმართზე ჩვრებში შეხვეული 2-3 დღის ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა, რომელიც ოლგას სახელობის ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა 19 წლის ქალი ნადეჟდა პეტრეს ასული ბუდკაკოვისა.

◆ დუშეთ-თიანეთის ოლქის ბლაღოჩინად ახმეტის მღვდელი გიორგი ანაშვილი დაინიშნა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. სამოსწავლო ოლქის სამღვდელოების** კრების მიერ არჩეულმა კომისიამ 11 დეკემბერს სასულიერო სასწავლებლის შენობა და შესასყიდად განზრახული ნურაღლოვის ადგილი დაათვალიერა. კომისია თავის აზრს ამ დღეებში კრებას მოახსენებს. 12 დეკემბერს კრება შეუდგა საკითხის განხილვას იმის შესახებ, რომ გამოძებნილ იქმნას საშუალებანი ტფ. სასულიერო სასწავლებლის შესანახად. როგორც ვიცით, დღემდე სამღვდელოებას ჯამაგირიდან ურიცხავდნენ სკოლის შესანახად საჭირო ფულს. ამ საკითხის

მოწიწებითი ეპისტოლე

ჩვენის რეფორმატორის გ. სილოვანის მიმართ.

მოწიწებით ვიწყებ ამ ჩემს პასუხს, რადგანაც ჩემგან გადაჭრით თხოულობს მოწიწებასა ჩვენი გრამატიკოსი, ახალის მართლწერის შემქმნელი და მქადაგებელი. მკითხველმა სტრიქონებს შორის ხშირად უნდა ამოიკითხოს მოწიწება, თორემ მრისხანე სილოვანი უკიდურესად გაგვიწყრება.

ის, რასაც ახლა სჩადის ბ-ნი სილოვანი, ცოტა არ იყოს, წააგავს ერთს ამბავს ქალაქ სტამბოლის წარსულისას. მეთხუთმეტე საუკუნეში დიდის კონსტანტინეს ქალაქს გარს ერტყა აურიცხველი ჯარი ოსმალთა და ლამობდა მის აღებასა. ერთგულნი ვაჟკაცნი თვისი ქვეყნისანი შეიარაღებულნი იდგნენ ქალაქის კედლებთან და მზად იყვნენ თავიანთ სიცოცხლე შეეწირნათ სამშობლოს დაცვისათვის. თვით ყმაწვილი იმპერატორი ბიზანტიისა ქალაქის კედლებს არ შორდებოდა, მედგრად ებრძოდა მტერსა და გადაწყვეტილი ჰქონდა, ზედ შეჰკვდომოდა, თუ მტერი ქალაქს შემოესეოდა. და აკი კიდეც ზედ შეაკვდა.

მხოლოდ ერთს წრეს ბიზანტიელებისას მაგრე რიგად არ აწუხებდა საშინელი განსაცდელი სამშობლოისა. ესენი იყვნენ სხოლასტიკოს გრამატიკოსები, რომელნიც ინავოლის ხელმძღვანელობით მთელს დღე-დამეებს ატარებდნენ დაუსრულებელს ცხარე ბაასში სხოლასტიკურის წვრილმანობის შესახებ. ამ უბადრუკებმა კონსტანტინეპოლის აღებაც კი დროიანად ვერ შეიტყეს, და მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონსა, როდესაც საკამათო სადგურში თავზე წაადგნენ ხმალ-ამოღებულნი გამარჯვებულნი ოსმალნი.

ჩვენი ქვეყანა გარეგანი მტრის შიშისაგან თავისუფალია სრულიად; მაგრამ მაინც ათასი უბედურება სიცოცხლეს გვიწამლავს.

ბ-ნმა სილოვან ხუნდაძემ იმის მაგივრად, რომ თავისი და თავისი გაზეთის ძალ-ღონე უმთავრესად მოანდომოს ბრძოლას ძირითადთა სენთა წინააღმდეგ, მთავარ საგნად მან გაიხადა რაღაც პროვინციალურის მართლ წერის შემოღება და გავრცელება, და ისეთი ჭირვეულობით მიჰყავს ეს უმნიშვნელო საკითხი, რომ ჰბადებს განხეთქილებას იმერთა და ამერთა შორის. სადამდის მიდის ეს მისი ვნებით სავსე ჭირვეულობა ცხადად სჩანს იქიდან, რომ მან ბ-ნს გრიგოლ ყიფშიძეს იმერეთის სიძულვილი დააბრალა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა დაიწუნა ბ-ნ სილოვანისაგან ნაქებნი ზოგიერთი ადგილობრივი ტერმინი. ეს ხომ ნამდვილი პროვოკაცია, რომელიც ხელს უწყობს ძმათა შორის განხეთქილებასა, პროვინციალურს სეპარატიზმსა, და ყოველს მტერს ჩვენის ქვეყნისას სიტკბოებით ავსებს.

ვინც „კოლხიდას“ არა კითხულობს იგი ვერ წარმოიდგენს იმ უკიდურესს კიცხვას, რომელსაც ჩვენი გრამატიკოსი კადრულობს იმათ წინააღმდეგ, ვინც კრიტიკულად უცქერის მის მართლ-წერასა. იგი არ ერიდება იმისთანა უშვერს სიტყვებსაც კი, როგორიც არამზადა, ვირი და უმსგავსი.

მაგრამ გვერდი ავუქციოთ ამას და საარსო მხარეებს ვთხოვოთ ყური.

მოგეხსენებათ, ჩვენს საზოგადოებაში ინტერესი ქართულის ლიტერატურისადმი მეტად სუსტია. თვითონ ისინიც, ვინც ქართველ მწერლების თხზულებებს ყიდულობენ, იშვიათად კითხულობენ და მხოლოდ თაროზე უწყვიათ სადგომის დასამშვენებლად. ეს არის შედეგი ჩვენი ქვეყნის ანორმალურის მდგომარეობისა. ნორმალურს მდგომარეობაში, როდესაც ეროვნულს ცეცხლს ათასი მტერი წყალს არ ასხამს და არ აქრობს, ჩვენის მაღალ-ნიჭიერის მწერლების თხზულებანი ისეთსავე პატივში იქნებოდნენ, როგორს პატივშიაც არის სახარება იმ ქვეყნებში, სადაც რელიგიური იდეა მეფობს.

ვინ წარმოიდგენდა რამდენისამე წლის წინად, თუ ამ ეროვნულის ცეცხლის მქრობელთა შორის თვალსაჩინო ადგილს დაიჭერდა ბ-ნი სილოვან ხუნდაძე. მაგრამ მოულოდნელი აცხადდა. როგორ და რა გზით? რასაც იგი ამბობს ჩვენის მაღალ-ნიჭიერ მგოსნების შესახებ, იმას შეუძლიან ხელი შეუწყოს გულგრილობას ჩვენის ლიტერატურისადმი და ნაციონალურის ცეცხლის ჩაქრობას. მოისმინეთ, რას ბრძანებს ჩვენი უებრო გრამატიკოსი: „**მე ვხოქვით და ეხლაც ვამბობ**, რომ არც ილია ჭავჭავაძის, არც ორბელიან-ბარათაშვილის და არც სხვების ენა სავსებით შესაწყნარებელი არ არის მეთქი, რადგანაც მათ **ენაში მრავალი სიმახინჯე მოიპოვება, მრავალი დამჯდარებული ფორმები, მრავალი ცხადი უკანონობა**“. ასე, რომ დღემდინ ქართველებს, მეტადრე კი ამერებს, ჰქონიათ მხოლოდ მახინჯი ლიტერატურა, და მარტო ახლა უნდა მოველოდეთ ნამდვილს, საღს, ჭეშმარიტს, კანონიერ ლიტერატურას ჩვენი რეფორმატორის სილოვანისა და მის დამქაშებისაგან ვაი ჩვენი ბრალი, ვაი ჩვენს საარაკო სიბეცეს გონებისას და ზნეობისას!..

თუ ი. ჭავჭავაძეს, ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს და სხვებსაც ენის სიმახინჯე უკიჟინა ბ-ნმა სილოვანმა, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეს დააყენებდა იგი,—თავის ჭკუაში, რასაკვირველია—თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს, რომელმაც მისი „საღვლოვანი“ მართლ-წერა მეტად ვიწრო პროვინციალიზმის ნიადაგზე აღმოცენებულად აღიარა. მაგრამ ვიდრე ჩვენის რეფორმატორის გრამატიკულს „მარგალიტებს“ გავითვალისწინებდეთ, საჭიროა კბილზე ვიკრათ მისებურად, მისი კეთილ-სინდისიერობა.

ჩემი სტატია ახალის რუსულის ქრესტომატიის შესახებ მე გავუგზავნე დასაბეჭდად არა „კოლხიდის“ რედაქციას, არამედ პირადად ბ-ნს სილოვანსა, და მასვე მივწერე წერილი და ვთხოვე, ჩემს მართლწერას ნუ გადააკეთებთ მეთქი. წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებულს გამხდით ერთი სტრიქონიც აღარ მოგაწოდოთ თქვენს გაზეთში დასაბეჭდად მეთქი. ჩვენმა სილოვანმა ჩემის სტატიის დაბეჭდვა დააგვიანა მთელი კვირით და მართლწერაშიც თავისებური ცვლილება მოახდინა. მაგალითად, ჩემს სიტყვებს: სკოლაში, შუალა სასწავლებლებში, მოხდა, ასეთი ფორმა მისცა: შკოლაში, შვალა სასწავლებლებში, მოხთა და სხვანი. ეს თავისი საქციელი ჩვენმა სილოვანმა დააგვირგვინა ასე: ვიდრე ჩემი წერილი მთელის კვირის განმავლობაში მის მაგიდის უჯრაში იდო, მან დაამზადებინა ვეებერთელა საპასუხო წერილი, სავსე სიცრუით და ცილის წამებით, მისცა ამ წერილს ბრაზიანი რედაქცია და მეორე-მესამე დღეს გამოსცა იგი თავისს გაზეთში.

ახლა მოისმინეთ, რას ბრძანებს ჩვენი გრამატიკოსი და რითი იმართლებს თავსა „კოლხიდის“ მკითხველების წინაშე: „ბ-ნი გოგებაშვილის ბარათი, რომლითაც იგი ზევით მის მიერ დასახელებულის წერილის დაბეჭდვინებას მთხოვდა, ხელად არ მაქვს, რადგანაც უმნიშვნელო ბარათებს არ ვინახავ. (აბა მაღალ-მნიშვნელოვანი სილოვანისათვის უმნიშვნელო გოგებაშვილის ბარათი რა შესანახია), თუ არა, დოკუმენტალურად დავუმტკიცებდით, რომ მას ჩემთვის ამ გვარი თხოვნით, როგორც იგი ასახელებს, არ მოუმართავს“. სრულად ვერ წარმოიდგენდი, თუ ჩვენი გრამატიკოსი ასეთს სიცრუეს იკადრებდა.

სამწუხაროდ, ჩემმა მოწინააღმდეგემ ჩემი სიტყვების გადასხვაფერებაც არ დაითაკილა: მე მივმართე პატარა წერილით „კოლხიდის“ მკითხველებს, რომელიც ბ-ნმა სილოვანმა თავისს გაზეთში არ დაბეჭდა და რომელსაც თავაზიანად ადგილი დაუთმო მეორე ქუთათურმა გაზეთმა „მნათობმა“. ამ წერილში ბოდიშს ვიხდიდი „კოლხიდის“ მკითხველების წინაშე, რომ ამ გაზეთის „პედაგოგს“ მე ვუპასუხებ არა „კოლხიდის“ სვეტებზე, არამედ „სახალხო გაზეთში“, და ამის მიზეზი არის მეთქი ახლად მოვლენილი რეფორმატორი სილოვანი, რომელიც ჩემს მართლ-წერას სცვლის თავისს მართლწერად მეთქი.

ივერიელი

საბოლოოდ გამოსარკვევად შარშანდელ კრებაზე არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელმაც ახლანდელს კრებას თავისი მოსაზრებანი წარმოუდგინა. კომისიის აზრით, მთელი ხარჯი სანთლის საეპარქიო ქარხანას უნდა დაეკისროს იმ პირობით, რომ სანთლის ქარხანამ ფუთი სანთელი 40 მან. მაგივრად 48 მანეთად უნდა მიჰყიდოს ეკლესიებს. ეს საკითხი ამ დღეს კრებას საბოლოოდ არ გადაუწყვეტია.

◆ **კავკასიის ექიმთა კრება** 15 დეკემბერს დაიწყება. კრებები დილითა და საღამოობით მოხდება. ზოგიერთ დღეს კრებები სრულებით არ მოხდება, რათა კრების მონაწილეთ შეძლება მიეცეთ, ტფილისის სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებანი დაათვალიერონ.

◆ **კავკასიის სახოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 20 დეკემბერს მოხდება.

სასამართლო.

◆ **უგანათლებულეს თავადის უჩა დადიანისა და სხვათა საქმე.** 12 დეკემბერს კავკავის ოლქის სასამართლო თ. დადეშქელიანის მოკვლის საქმის გარჩევას შეუდგა. უმთავრესი ბრალი ამ საქმეში ედება უგანათლებულეს თავადს უჩა დადიანს, რომელსაც აბრალებენ, თავ. დადეშქელიანი რომანიულს ნიადაგზე მოაკვლევინეო. თავ. დადიანის გარდა სამართალში მიცემულნი არიან: კნეინა ბარბარე დადეშქელიანისა (მოკლულის მეუღლე), დ. ბ. ახაძე, ვ. ალშიბაია, ი. კ. ბობოხიძე, ა. ი. ცინცაძე, რ. ე. ზაქარაია და ა. ი. ბუქურია. მკვლელობა, როგორც თავის დროზე ვწერდით, ქუთაისში მოხდა და ამ საქმის გარჩევა ამიტომ პირველად ქუთაისში იყო დანიშნული, მაგრამ სენატის განკარგულებით კავკავში იქმნა გადატანილი. ამ საქმეზე სასამართლოში 200 მოწმემდე დაბარებული. თავ. დადიანს პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი გესენი იცავს. საქმის გარჩევა დაახლოვებით 10—12 დღეს გასტანს.

ქუთაისი

◆ საბუღალტერო კურსების გამგეს ბ. გრ. გიგინეიშვილს შავიქვის მრეწველთა საბჭოში განცხადება შეუტანია და სუბსიდიას მოითხოვს. გრ. გიგინეიშვილი წინადადებას იძლევა, რომ გააფართოვებს კურსებს, მოიწვევს სპეციალისტ ლექტორებს. შავიქვის მრეწველობისათვის ასეთი კურსებისა და ლექციების მოწყობა დიდი საქმეა.

◆ **წვრილ კრედიტის მართველობას** გუბერნატორისაგან ნებართვა მიუღია 16—23 დეკემბრამდე ქ. ქუთაისში მოიწვიოს გუბერნიის საკრედიტო ამხანაგობათა კრება. სამმართველოს განკარგულება მოუხდენია,—ყველა ამხანაგობამ წარმომადგენელი გაგზავნოს ამ კრებაზე.

◆ ოთხშაბათს, 14 დეკემბერს, **ქუთაისში მოელიან** შავი-ქვის მრეწველთა კრებაზე დასასწრებათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ. რუდოლფს.

◆ დამსახურებული **პროფესორი ბ. ჰრახოვი** გუშინ ხონს გაემგზავრა. ხონიდან მარტვილს წავა, იქიდან ფოთსა და ბათომს. მასთან აგრონომი ნ. იოს. ქუთათელაძე ახლავს.

◆ ქალაქის მოურავმა ილ. მან. ჩიქოვანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ **მომავალი თეატრის შენობა** უეჭველად ქალაქის ბაღში უნდა აიგოს ძმ. ოცხელების შენობის პირდაპირ, ადგილი ყოველ მხრით მოსაწონია, თუ ქალაქის ბაღი ამით არ დავიწროვდება.

◆ ზუგდიდში **უგანათლებულეს** თავ. მინგრელსკის გაუმართავს ნადიმი, რომელზეც მიწვეული ყოფილა ორასამდე სტუმარი. სადილის შემდეგ ეზოში სამს ადგილას დაუჭრიათ მოურავი **ვ. ალშიბაია**, ბოროტ-მოქმედი იქვე შეუპყრიათ.

◆ 10 დეკემბერს ქალაქის საავადმყოფოს ახლო, ოთხი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი თავს დაესხა სოფ. ბალდ. მცხოვრებს ვიქტორ მერაბის ძეს ვანდელაძეს და სოფ. სალომინაოს მცხოვრებს რაჟდენ ბ. ლომინაძეს. პირველს წაართვეს 100 მ., მეორეს 28 მ. და ნაბადი. („კოლხ.“)

სიღნაღი.

◆ ფინანსთა მინისტრმა 25 წარსულ ღვინობისთვეს დაამტკიცა წესდება **სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა**, რომელიც არის გამოქვეყნებული მთავრობის განკარგულებათა კრებულში, 10 წარსულ გიორგობისთვის № 126 (მეორე განყოფილება). ამ საქმის მეთაურნი მართავენ წინასწარ სათათბირო კრებებს, საზოგადო კრება დამფუძნებლებისა მოხდება ქ. სიღნაღში ამ მოკლე ხანში. წესდება ითარგმნება ქართულად და მალე დაიბეჭდება. მართველების წევრების ამორჩევამდის დარიგებისა და ცნობების მისაღებად უნდა მიჰმართონ მომრიგებელ შუამავალს თ-დ ალექსანდრე ლევანის ძეს ჯორჯაძეს, ხოლო საწევრო გადასახადი შეიტანონ ბ.ბ. დამფუძნებლებმა სიღნაღის ნოტარიუსთან კონსტანტინე ივანეს ძე ჯაფარიძესთან (ორივენი ცხოვრობენ ქ. სიღნაღში).

სოხუმი.

◆ უცნობმა პირმა გადასცა სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარეს თ-დ თავდგირიძეს 500 მანეთი საქველმოქმედო საქმეებზე გასანაწილებლად. თ-დმა თავდგირიძემ ეს ფული ასე გაანაწილა: 1) ასი მანეთი საქველმოქმედო საზოგადოებას; 2) ასი მანეთი ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას, 3) ასი მანეთი ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას; 4) ასი მანეთი ქართულ სასკოლო საზოგადოებას და 5) ასი მანეთი აფხაზეთის სასკოლო საზოგადოებას. („ს. ვ.“)

წერილი ბაქოდან

(თევდორე პროტასოვის გასამართლება).

თუ არის სადმე ორიგინალური ცხოვრება და ორიგინალური საზოგადოებრიობა—ეს პირველ-ყოვლისა ბაქოში. ვერ დაასახელებთ ისეთ სხვილ-სამრეწველო ქალაქს, როგორიც ბაქოა და ისეთ კულტურას, ისეთ ჩამორჩენილს გონების მხრივ, როგორც ბაქოს საზოგადოებას. ასეთ დიდ ქალაქში ვერა ჰნახავთ სათანადო სახალხო სამკითხველოს, სათანადო თეატრს, სათანადო მუზეუმს, საზოგადო კლუბს, დარბაზსა და სხვა თანამედროვე კულტურის დაწესებულებას. ამიტომ ცხადი ხდება ასეთ ქალაქში თვით გონებრივ ცხოვრების ჩამორჩენა, ცხადიც ხდება რომ აქ აზროვნებაც სადა და უფერულია. ის, რაც სხვაგან არ ჰხდება, აქ თამამად იკიდებს ფეხს, რაც სხვაგან შეუწყნარებლად არის მიჩნეული, აქ ცაში აჰყავთ.

სწორედ ეს დაგვიმტკიცა 29 ნოემბრის ტაგიევის თეატრში ლევ ტოლსტოის—თევდორე პროტასოვის გასამართლებამ (ცოცხალი გვამი). დიდი ამბით გაიმართა ეს საღამო. ჯერ იყო და ხმებია, რომ ანტრეპრენერმა „ოტსტუპნოი“ ასი მანეთი აიღო. ხალხით მართლა რომ გაჭედილი იყო დარბაზი, აქაურ რჩეულ საზოგადოებით. ვხედავდით ლოჟაში „სახალხო გაზეთი“-ს და „მნათობი“-ს თანამშრომლებს, ვხედავთ ბევრ სხვა აღსანიშნავ პირებს. გაფაციცებით ვადევნებდით ყოველივეს ყურადღებას და გულის ფანცქალით მოელოდა ეს ხალხი ახალ სიტყვას, ახალ აზრს თევდორე პროტასოვის სინიდისზე და საქციელზე 8½ საათზე ფარდა აიხადა. მდივანი კითხულობს ფედიას საქმის მდგომარეობას და იწყება პროცესი, დიაღ, ორიგინალური პროცესი აქაურ საზოგადოებისათვის.

თავმჯდომარე ბლეინიკოვი ხალხს მოსამართლეთ აცნობს ავსიანიკო-კულიკოვსკისა და აიხენვალდის შეხედულებებს ფედიაზე და აქედან იწყება ჯახა-ჯუხი ბრალმდებელსა და დამცველს შორის. რა უნდა ეთქვათ ახალი ამათ ფედია პროტასოვზე? რა თქმა უნდა, არაფერი! მხოლოდ დამცველ მალხაზოვის მოხდენილი და მგრძნობიარე სიტყვა გულს უტაცებდა ხალხს, მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს ხალხის, დამსწრეთა უმრავლესობის აზრი და შეხედულება თევდორეს ყოფნა-არ-ყოფნაზე. აი სწორედ ამ გასამართლებაში გამოჩნდა მთელი უსუსურობა, მთელი გონებრივი სიბეცე აღნუსხულ მოსამართლეებისა. აბა რით უნდა აიხსნას, რომ სავსე დარბაზის მთელი მეოთხედი ისე გაიტაცა ფედიას ერთიან გამართლების მანიამ, რომ ისიც კი უარჰყვეს, რომ ის სხვისი პასპორტით ცხოვრობდა. განა აქ შეიძლებოდა აზრთა წინააღმდეგობა? რომ ფედია სხვისი პასპორტით ცხოვრობდა ამას თვითონაც ხომ აღიარებს, ეს ხომ ფაქტი იყო, მაგრამ ბაქოელ მოსამართლეებისათვის კი ესეც საკამათო საბუთი ყოფილა.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ბაქოს საზოგადოების სულის კვეთების მთავარ კითხვაზე დამოკიდებულება. კითხვა არსებობდა: სასურველია თუ არა ფედიასთანა პირები საზოგადოებისათვის? ეს თავისთავად რთული კითხვაა, მაგრამ როდესაც კითხვა სურვილზე დგება და იდეალის სფეროში გადადის, მისი გადაჭრაც ადვილი უნდა იყოს, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა აქაურ საზოგადოების ყოველ იდეალურ კითხვათა გაურკვევლობა და მოუმზადებლობა.

ის საზოგადოება, რომელიც თეატრში იყო მოქცეული, საზოგადოება აუცილებლად მოწინავე და უფრო განათლებული, დასტურს რთავს ბ. მალხაზოვს, რომ ფედიასთანა პირები საჭირონი არიანო. თუ ფედიასთანა ხალხი არ იქნება, ცხოვრებაც შეუძლებელია, წინმსვლელობა?! მართალია, თევდორე პროტოსოვს—როგორც დღევანდელ ცხოვრების ერთ ტიპს მართლა ბევრი კარგი მხარე აქვს, ვინ იტყვის, რომ ის პროტესტანტიზმი, ის ნამდვილი, კაცობრიული სიმართლე და რეალური გულწრფელობა, რომელიც ამ პიროვნებაში განხორციელებულია, კეთილ ადამიანს და საზოგადო კეთილდღეობისათვის მებრძოლ ადამიანს არ დაამშვენებს, მაგრამ მას ხომ ძალიან დიდი დეფექტებიც აქვს; მას ხომ სრულებით არაფერი შეუძლიან გააკეთოს ადამიანის წუმპეში ჩათრევის წინააღმდეგ? განა განათლებული საზოგადოება სწორედ იმ პირთაგან არ უნდა შესდგებოდეს, რომელთაც ცოცხლისა და მძლავრის ნებით აღჭურვილთ მუდამ შეეძლოთ ადამიანთა შმორე წუმპედან ამოყვანა? ზოგიერთებს ჰგონიათ, ვითომც გმირობაა, ნამდვილად კი გმირობა აქ არაფერს შუაშია. ის, რაც ველურს გენიალურად მიაჩნია, დღევანდელ ევროპიელისათვის უბრალო რამედ არის მიჩნეული. მომავალი საზოგადოება, საზოგადოება **სასურველი**, ფედიასანა **უნებო და უძლურ** პიროვნებათაგან ვერ შესდგება. საკმარისი ის კი არ არის, რომ ფედია ჰგრძნობს აწმყოს სიწამხდრეს და სიდუხჭირეს—აქ ფედია—ტოლსტოიზმის სრული გამოხატულებაა—საჭირო და უმთავრესია სიწამხდრის ალღოს აღება და მისი მოგვარება, ბოროტების დათრგუნვა და უკეთესისაკენ ბრძოლა. ეს გარემოება თანამედროვე მოქალაქის უბრალო საქმეა, ეს არ არის გმირობა, და რამდენადაც ამას ვერ ასრულებს ფედია იმდენადვე ის უძლურია, იმდენადვე არა სასურველი და ანტიპატიური პიროვნებაა.

დღევანდელი ჩვენის ცხოვრების სინამდვილე—შემოქმედებითი ბრძოლის განხორციელებაა, ბრძოლა ჰქმნის კულტურას და ის მიგვაქანებს მომავლისაკენ. ფედია კი ამ მებრძოლთა რაზმიდან გარიყულია და ვერაფერს აკეთებს, ის მხოლოდ ღვინოს მორევში იღუპება და განა ასეთი ხალხი შეჰქმნის რაიმე უკეთესს, რაიმე სასურველს? ბაქოს საზოგადოების ეს ნაწილი კი სხვანაირად ფიქრობს, მან დიდძალ ხმის უმეტესობით ტაში დაუკრა თევდორე პროტოსოვს და მისი გამრავლება სასურველად სცნო.

რას ნიშნავს ეს? რას ახასიათებს? დაე, მკითხველმა თვითონ მოგვცეს ამის პასუხი.

ახლო მომავალში ისევ ფიქრობენ თევდორე პროტოსოვის გასამართლებას. ნუ თუ კვლავ ასეთ უკრიტიკოდ და გულუბრყვილოდ შეხვდებიან ამ ფრიად საინტერესო საკითხის გარჩევა-გამორკვევას?—

თევდორე ღლონტი.

თელავის ცხოვრება.

მართალია, ყველა წელიწადის დრო კარგია თელავში, მაგრამ შემოდგომას არა შეედრება-რა, ბუნების სიმშვენიერეზე კი არ მოგახსენებთ; ეს სულ ერთია, თუმცა ამანაც შედარებით დარით და თბილად გაიარა.

მე ვამბობ დროს გატარებასა და თავის შექცევაზე. მართალია, არც სხვა დროსა ვართ ამის უცხონი, მაგრამ შემოდგომა თელავში „ხაშის“ და „გელაქნურების“ დროა. მასზე ლაპარაკობენ, მასზე ბჭობენ, მას უკვეთავენ საგანგებოდ, მისით ჰმართავენ წვეულებებს და კახური შეზარხოშებულნი დამღერიან ცნობილ ლ. ანდრეევის სიტყვებს „სწრაფია ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი, ყოველ დღე მოკლდება სიცოცხლე ჩვენი“... თითქოს ნიადაგ ცხოვრების სიდუხჭირეში მყოფთ მხოლოდ ერთხელ მისცემოდეთ შემთხვევა თავის გამხიარულებისა.

სხვა რამ თორემ, სადილებსა და დროს გატარებას ისე ვართ შეჩვეულნი, რომ ყოველივე ჩვენი ცხოვრების მოვლენას მხოლოდ ამაზე ვამყარებთ. გადაიყვანენ ვისმე, მაშინვე სადილი, მოვა ვინმე—სადილი, იუბილეა თუ დღეობა კიდევ სადილი, დროს გატარება—მხიარულება და რომ ყველა ამან უკვალოდ არ ჩაიაროს, თან სურათებს ვიღებთ, ალბად მომავალ თაობას ვუტოვებთ მისაბაძ განძად. სხვაფრივ რითიმე აღნიშვნა ამა თუ იმ პირის პატივისცემისა, როგორც საპატიო წევრად ჩაწერა, ფონდის დაარსება, რაიმე საქველ-მოქმედო საზოგადოების დახმარება და სხვა ფიქრადაც არავის მოუვა. მერე ასეთი დახმარება თუ სადმე არის საჭირო ე. ი. თელავში. ყოველივე საზოგადო და საქველ-მოქმედო დაწესებულებას უსახსრობით თუ არ მოუსპია არსებობა, ძლიერ მკრთალად ეტყობა მოქმედება, ისიც იმათ წყალობით, ვისთვისაც საზოგადოებას ერთხელ ჩაუბარებია ეს და თავი გაუნებებია.

ეს შემოდგომა კუჭის გარდა იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ამოდენა მოსწავლე ახალგაზრდობას ითხოვენ სწავლის ფულის შეუტანლობისა გამო და თითქმის ყველა სასწავლებლებთან არსებულნი მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებანი უძლურნი არიან დააკმაყოფილონ მთხოვნელთა ერთი ნაწილი მაინც, რის გულისთვისაც ჰმართავენ გასართობ საღამოებს, მაგრამ ზოგჯერ საზოგადოება ისე გულცივად ჰხვდება, რომ ძლიერ ცოტა ან სრულებით არაფერი რჩება. ასე თუ ისე საქმის მოთავენი თავის მოვალეობას ასრულებენ და თუ ყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც მიზანს აღწევენ.

მხოლოდ არაფერი იმართება სასულიერო სასწავლებლისათვის. არავის აგონდება იგი, თითქოს ამ სასწავლებლის მოწაფენი არაფერ ნაკლულევანებას არა გრძნობდნენ და ფუფუნებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათზე და ჩვენ სულიერ მამათა შესახებ მოქმედებაზე შემდეგ.

დაუწყებული.

მოწერილი ამბები

მანგლისი. მანგლისის სასაფლაო და სამხედრო ადგილები აქამდე ექვემდებარებოდა ადგილობრივ ბოქაულს (აქ სდგას გრენის ქვეითა ჯარი). სახელმწიფო გარდასახადის გარდა აქაური მცხოვრებნი, თუმცა დამტკიცებული აქვთ ბოქაულისაგან ეს ადგილები, მაინც უხდიან ბოქაულს ჯერთგან იჯარას.

ამ ზაფხულს აქ იყო ხარჯთამკრეფი ინსპექტორი, მან აქაურებს მოსთხოვა „კუპჩიების“ პირი და წაიღო. შემდეგ ხმა გავარდა, ეს მამულები მცხოვრებმა ხელ მეორედ უნდა შეისყიდონო. მოვიდა დამფასებელი „კომისია“, რა-

---

„ჩემი მართლ-წერა კი“, ვამბობდი, მიმაჩნია ქართულ ლიტერატურულ მართლ-წერად, რომელსაც მისდევდნენ ბოლოს დრომდე საზოგადოდ ქართველი მწერლები იმერნი და ამერნი, ყველა ჩვენებური პერიოდული გამოცემანი აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოისა და მათ შორის თვით სილოვანიც მეთქი. ახლანდელი მართლწერა კი ჩვენის რეფორმატორისა პროვინციალურია, პროვინციალურს გემოსა და გამოთქმაზე დამყარებული“. ამ ადგილს ასეთი კუდი გამოაბა ბ-ნმა სილოვანმა: გოგებაშვილი ბრძანებსო: ჩემს მართლწერას მისდევდნენ ყველა ქართველნი მწერალნი (ჩემზე ადრე დაბადებულნიც) და თვით ბ-ნი ხუნდაძეცაო“. საკადრისია ესა? ჩემს სიტყვებში გამოთქმულია მხოლოდ შემდეგი სიმართლე, რომელიც ყველამ კარგად იცის: ბოლოს ხანამდინ ქართულ ლიტერატურაში მიღებული იყო ერთი მთავარი მართლწერა, მცირედენი ინდივიდუალური განსხვავებით, რომელსაც მეც მივდევდი... ახლა კი ჩვენმა რეფორმატორმა ეს საზოგადო მართლწერა მახინჯად გამოაცხადა, კერძო, ადგილობრივი, პროვინციური მართლწერა შესთხზა, ონასტერი არია, მწვავე საკითხად გახადა ის, რაც ყველას გადაწყვეტილად მიაჩნდა ბოლოს დროიდან და გააჩაღა ფრიად მავნებელი ჩხირკედელაობა, პროვინციალურ სეპარატიზმთან დაკავშირებული.

სამწუხაროდ, სხვა შემთხვევაშიაც ჩვენი გრამატიკოსი სიმართლეს აშკარად ღალატობს და სიცრუეს ფარხმლად ხმარობს. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ გაზეთებში დაბეჭდილს სტატიებში ბლომად გამოერევა ხოლმე კორექტურული შეცდომები. ჩემი უკანასკნელი წერილიც არ არის თავისუფალი ამისთანა დეფექტისაგან. სამოცდა მეთორმეტე წელში გადადგომამ და თითქმის გამუდმებულმა ავადმყოფობამ მხედველობა ძლიერ შემისუსტეს და კორექტურული შეცდომა ადვილად მრჩება შეუმჩნეველი. და აი ეს სტამბის შეცდომანი ბ-ნს სილოვანს მოჰყავს დასამტკიცებლად ჩემის ენის უცოდინარობისა. დავასახელებთ მაგალითებს. სიტყვა „დაწყება“ ხუთჯერ არის ნახმარი ჩემს სტატიაში. ამ ხუთში მხოლოდ ერთხელ შეპარულა „დაწყობა“. ოთხჯერ კანონიერის ფორმის ხმარებას ხელს აფარებს და ერთს უკანონოს ავლებს ხელსა, და აღნიშნავს მას დიდი ასოთი, რათა აფიქრებინოს მკითხველს, ვითომ მე იმდენად უვიცი ვიყავი, რომ არ ვიცოდი, თუ რა განსხვავებაა „დაწყებასა“ და „დაწყობას“ შორის. ასეთივე ოინი იკადრა ბ-ნმა სილოვანმა შესახებ ფრაზისა: ქართული მწერლები. მესამე ჩემს ფელეტონში ორჯელ ზედიზედ ნახმარია კანონიერი ფორმა: ქართველი მწერლები. შემდეგ ფრაზაში პირველი სიტყვა თავდება მარცვლით ული, ნაცვლად „ელისა“. ჩვენი გრამატიკოსი სცდილობს მკითხველს მოაჩვენოს აღნიშნული უკანონო დაბოლოება, როგორც შედეგი ჩემის უცოდინარობისა. ბარაქალა! თვით იმისთანა აშკარა კორექტურული შეცდომები, როგორც შეუმკოდ, ზოგიერთა ვოსტორგოვივით, ენის შეცდომად გამოჰყავს მკითხველის თვალში. მაგრამ თვითონვე გრძნობს, რომ ამას მკითხველი წვრილმან რამეებად ჩასთვლის და ასეთს ხერხსა ხმარობს: „ჩვენ შეგვეძლო ოცჯერ მეტი სიმახინჯე ენისა დაგვესახელებინა; მაგრამ მკითხველი დაგვემდურებოდა, თავი ნუ მოგვაბეზრე გოგებაშვილის ენის სიმახინჯითაო, და ამიტომ მეტს არაფერს ვიტყვითო“ ეს ჩვეულებრივი ოინია ჩვენის გრამატიკოსისა: სადაც საბუთები არ აბადია, იქ ფონში გასვლისათვის მამაცურს ფშუტე ფრაზას, რათა მკითხველს თვალი აუბას და სიმართლე არ დაანახოს. რამდენად ეშინიან მას სიმართლისა სჩანს, სხვათა შორის, იქიდან, რომ ჩემ უკანასკნელ წერილის გათავებას არ დაუცადა და მის წინააღმდეგ გამოუშვა „კოლხიდაში“ წიკლაკიანი წერილი, რომლითაც უნდოდა დაეჩრდილა ჩემის წერილის სიმართლე მკითხველთა თვალში და შთაბეჭდილება შეესუსტებინა; მაგრამ ამაოდ ჩაიარა, ვგონებ, ამ არა საკადრისმა ხერხმაც.

დავსტკბეთ ახლა ჩვენის რეფორმატორის საგრამატიკო სიბრძნით და გავითვალისწინოთ ჩემი უვიცობა ქართულს გრამატიკაში:

მე მაქვს ნახმარი: მივწერავ. ბ-ნი სილოვანი ამას მახინჯ ფორმად სთვლის და ბრძანებს: უსათუოდ უნდა იყოსო: მივწერ. ჩემ მიერ ნახმარ ფორმას გაიგონებთ ყველგან ქართლსა და კახეთში და იქნება დასავლეთ საქართველოშიც, ზოგიერთა კუთხეში მაინც. ახლა ვიკითხოთ: საიდან გაჩნდა ამ ზმნის ბოლოში მარცვალი ავ? იქიდან, ბატონებო, რომ ამ ზმნას ორი დასაწყისი სახე აქვს: წერა და წერვა, პირველი სახე სახელი არსებითია, მეორე—ზმნის ფორმას შეადგენს. სწორედ ამ უკანასკნელმა დაბადა **ვწერავ**, როგორც ზმნებმა: კერვა, კითხვა და ხედვა წარმოშობეს: ვკერავ, ვკითხავ და ვხედავ. სასტიკის გრამატიკოსის თვალსაზრისით თუ შევხედავთ საგანს, უკანასკნელი ფორმა უფრო კანონიერია, ვიდრე პირველი; მაგრამ **„ვწერ“** უფრო მსუბუქია, არავითარ ორ აზროვნობას არა ჰბადავს და ამიტომ ბევრნი მას ამჯობინებენ. ყოველ შემთხვევაში არავის საფუძველი არა აქვს მახინჯ ფორმად ჩასთვალოს **ვწერავ**; მას თუ მეტი არა, ნაკლები საბუთი მაინც არ აქვს თავისი არსებობისათვის.

ჩემს სტატიაში არის: მუნჯურს მეთოდზე. უნდა იყოსო: მუნჯურ მეთოდზე. რა საბუთით? რისთვის აშორებთ ზედშესრულს მიცემითის ბრუნვის დაბოლოებას, როდესაც ეს დაბოლოება განსაზღრულს მნიშვნელობას აძლევს მას? მაშ იხმარეთ ასეთი ფორმაც: მუნჯურ მეთოდმა, მუნჯურ მეთოდო, და ამ შეკვეცით გაფუჩქვნილი ფორმა ქართულის ბრუნვისა კუდა ფორმად გადააქციეთ. ეს ხომ უკან დახევა იქნება ჩვენის ენისა, რადგანაც ზედშესრულის უბრუნველობა ნაკლია განუვითარებელი ენისა. ნაკლია მეთქი, მოგახსენებთ, მით უმეტეს, რომ ზედშესრული წინ უძღვის სახელ არსებითსა ჩვენს ენაში და თუ იგი მოკლებულია ბრუნვის დაბოლოებას, მკითხველი იმყოფება გაუგებარს მდგომარეობაში იქამდინ, ვიდრე სახელ არსებითს ბოლომდინ არ წაიკითხავს.

მე მაქვს: **ამშვენებს**. უნდა იყოსო: აშვენებს. პირველი ფორმა უფრო კანონიერია, ვიდრე მეორე, თუმცა არც ეს არის მახინჯი. ქართლ-კახეთში მხოლოდ პირველს ფორმას გაიგონებთ, და მან დაბადა აქ მეტად სიმპატიური სახელი ქალისა—მშვენო. სახალხო პოეზიაშიაც მხოლოდ პირველი ფორმა იხმარება. და ამის საფუძველს იძლევა თვით გრამატიკული წარმოშობა სიტყვებისა. როცა სახელ არსებითი ზედშესრულის და მიმღეობის ფორმას მიიღებს, ძლიერ ბევრს შემთხვევაში თავში მოიბამს ასოს მ. ხვნა—მხვნელი, სმა — მსმელი, ხსნა — მხსნელი, ქადაგება — მქადაგებელი, ზრახვა — მზრახველი და მრავალნი სხვანი. ამ მაგალითების მსგავსად სახელ არსებითს **შვენება** თავში მოუბამს ასო მ და გამოსულა—მშვენიერი. ეს ფორმა ჩუბინაშვილს ბევრს ძველს და ახალს წიგნში შეხვედრია და ასე განმარტებს იგი თავისს ლექსიკონში: „მშვენიერი—ლამაზი, მშვენიერი ქალი, მშვენიერი ადგილი, მშვენიერ-მეტყველება“ და სხვანი. თავისს რუსულ-ქართულს ლექსიკონში რუსულს სიტყვას—прекрасный სთარგმნის ასე: მშვენიერი. აქვს მას ასეთი ფორმაც იქავე: მშვენება, მშვენობა. ერთი სიტყვით, ამ სიტყვის თავში ყოველ შემთხვევაში სვამს ასოს მ. იგი მოკლედ იხსენიებს მეორე ფორმასაც სხვა ადგილას: შვენება, შვენიერი. სამწუხაროდ, ჩვენს მეორე მელექსიკონეს საბა ორბელიანს კრინტიც არა აქვს დაძრული ამ სიტყვის შესახებ. სახალხო პოეზიაშიც ასეთ გამოხატულებას შეხვდებით: მშვენიერი ხარ, ხოხობო, ბოლონი გაგეშლოსა. ერთი სიტყვით, ფორმა „მშვენიერი“ უნდა ჩაითვალოს საზოგადო ეროვნულ ფორმად, ხოლო მეორე ფორმა **შვენიერი** პროვინციალიზმად, თუმცა მახინჯ ფორმას მას ვერ ვუწოდებთ.

იაკობ გოგებაშვილი.

(დასასრული იქნება).

მდებიც იყვნენ: მაზრის უფროსი, ხარჯთ ამკრეფ-ინსპექტორი სამხედრო სამთო ინჟინერი და წარმომადგენელი სატყეო და მიწის მზომელ უწყებისა, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი, ადგილობრივ შოლკისა და ერთი სამატიო წევრი ქართველებიდან. მოიწვიეს ადგილობრივ რუსთა მცხოვრებნიც თავიანთ საზოგადოებიდან რამდენიმე კაცი. რუსები სამ საზოგადოებიდან დაუყოფელი, ამათ უნდა დაედოთ ფასი, ადგილის მიხედვით. შოლკის და ქართველების წარმომადგენლებმა შეაფასეს საჟენი 50 კ. ვიდრე 3 მანეთამდე. ადგილობრივმა რუსებმა კი 3 მ. ვიდრე 12 მანეთამდე. რასაკვირველია, უკანასკნელთ სულ სხვა განზრახვა ჰქონდათ. მათ არც გამოსასყიდელი აქვთ და არც სასყიდელი, შორიქით სცდილობენ დაინარჩუნონ სხვაც, ეხლა ელაგებიან შოლკს საზაფხულო ჯარის სავარჯიშო მიდამოს. რასაკვირველია, მომდიდნენნი, რომ, მომავალში მათ საუკეთესო სააგარაკო ადგილები 180 დღიურამდე დარჩებათ, საჟენი 15 მ. და 20 მ. დაეფასებინათ ხელ საყრელი იყო. შოლკის და ქართველთ წარმომადგენელთ ოქმზე ხელი არ მოაწერეს და თავიანთ აზრი წარადგინეს.

ამ დღეებში აქ ტყის უფროსის თანაშემწემ დაიბარა ს. დიდ-თონეთელები და გამოუცხადა: დღეიდან საქონლის ძოვა სახელმწიფო ტყეში აკრძალულიათ თუ თვითეულ სულზე დადებულ ფასს არ გადაიხდითო: ხარზე, ძროხაზე თვითეულ სულზე წელიწადში 25 კაპ., ცხვარზე—4 კაპ., თხაზე 35 კაპ.

აგერ რვა წელიწადია თონეთის საგარაკოში მუშაობდა, თურმე, ვინმე მიწის მზომელი, მან თონეთელებს უჩვენა მიჯნები მათ ნადელისა და სახელმწიფო ტყეებისა და თანაც უთხრა, რომ ახლო მომავალში თუ თავის დროზე არ მოუვლით თქვენს თავს, ამ ტყეში აგკრძალავენ საქონლის ტარებას. ადგილობრივმა მამასახლისმა მისცა ამაზე თხოვნა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, რის პასუხადაც მოუვიდა—„დაკმაყოფილებულია". ხალხი დღევანდელამდე კმაყოფილი იყო, დღეს როცა დადებულ ხარჯის გამოცხადების შემდეგ ტყის მცველებმა საქონლის დაჭერა, დარბევა დაიწყეს, ხალხმაც ყურები სცქვიტა, გადაწყვიტა, მიმართონ ხელმწიფის მოადგილეს და სახელმწიფო სათათბიროს, რომ აეხსნათ ახალი დადებული ხარჯი.

თუ ხალხის თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული, თქვენი მტერი, რომ ისედაც წელგაწყვეტილნი სულ დაიღუპებიან, რადგანაც ყოველს ნაბიჯის გადადგმაზე სახელმწიფო ტყეს ვერ ასცდება აქაური საქონელი და ყოველთვის ოქმი და სასამართლოში სიარული აუცილებელი შეიქმნება გლეხისათვის.

მოკვდა თამაზ ქავთარაძე, რომელიც ამას წინად პოსელენიელებმა შეტაკების დროს „ბერდანის" ტყვიით დასჭრეს, სამი დაჭრილი ისევ მძიმედ არის ავად.

კოტე ფახანაურელი.

რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები.

თეირანი. შუსტერი და მეჯლისი დაითხოვეს. ქალაქში მშვიდობიანობაა.

სპარსეთის მთავრობამ რუსეთის ელჩს ჩააბარა ნოტა, რითაც შეატყობინა სპარსეთი რუსეთის ულტიმატუმის ყველა მოთხოვნილებას აასრულებსო.

ჯულფა. თავრიზში ბრძოლა და სროლა არ შეწყვეტილა. დილით ავტომობილებით მსროლელთა ორი პოლკი მოვიდა.

ლონდონი. „რეიტერს" თეირანიდან ატყობინებენ: თავრიზის ვიცე-გუბერნატორი იუწყება, რუსები დამშვიდებულად და გულგრილად ჰხოცვენ სპარსელ ქალებსა და ბავშვებსაო.

შენიშვნა. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო შეეკითხა ამის თაობაზე თავრიზის კორესპონდენტსა, რადგან მართალი არ უნდა იყოს ეს ამბავი. არც გარეშე საქმეთა სამინისტროს მიუღია რამე, ამ ამბის დამადასტურებელი.

გაზეთებიდან.

სტამბოლი.

ამბობენ, თეირანში მყოფმა ოსმალეთის წარმომადგენელმა სპარსეთს ურჩია, რუსეთთან უთანხმოებას და შეტაკებას მოერიდეო.

თეირანში ხმა დადის, მთავრობა ბაზრის გახსნას ძალით აპირებსო.

რუსეთის მისიაში განაცხადეს, მოლაპარაკების მსვლელობაზე კანტიკუნტი ვავდასხმა ვერ იმოქმედებსო, რადგან სპარსეთი აქ არაფერ შუაშიაო.

შირაზში იქაურ მცხოვრებთ და ინგლისის ჯარს შეტაკება მოსვლიათ.

ლონდონში ხმა დადის, თურმე, ჩქარა ინგლის-რუსეთის შეთანხმების გაუქმების თაობაზე დაიწყება მსჯელობაო.

სპარსეთა სოც.-დემოკრატიის პროტესტი.

ჟენევიდან „რუს. სლ." ატყობინებენ: სპარსეთის სოციალ-დემოკრატიის მთავარმა კომიტეტმა ევროპის ყველა სოციალისტთა პარტიას ცხარე პროტესტი გაუგზავნა და მოუწოდებს, თქვენც განაცხადეთ პროტესტი „რუსისა და ინგლისის მიერ სპარსეთის დანაწილების წინააღმდეგო".

ჩინეთის რევოლუცია

გაზეთებიდან.

ბერლინი.

შანჰაიში რევოლუციონერებსა და მთავრობის წარმომადგენლებს მოლაპარაკება აქვთ შერიგების თაობაზე. თუმცა ძალიან უარ-ჰყოფენ ზოგიერთნი, მაგრამ მაინც ხმაა გავრცელებული, მოლაპარაკებაზე დიდი გავლენა აქვს ინგლის-იაპონიასო. უცხოელთა სახელმწიფოების მუქარა, რასაკვირველია, ორივე მხარეს დათმობის გზას მოაძებნინებს. ეს კია, დანამდვილებით თქმა არ შეიძლება, რანაირი ძალა და გავლენა აქვთ ხალხზე მეთაურებს, ვინაიდან თუმცა დროებითი ზავია ჩამოგდებული, მაინც ბრძოლა არ შეწყვეტილა. რევოლუციონერები ისევ ძველებურად მოითხოვენ დინასტიის გადაყენებას და რესპუბლიკის გამოცხადებას. პრეზიდენტად იუანშიკაი ჰსურთ ამოირჩიონ, ვიცე-პრეზიდენტად ექიმი სუნიატსენი. პირველად კაბინეთს რევოლუციონერები ამოირჩევენ, შემდეგ კი ეს უფლება პრეზიდენტს ექნება.

იტალიისა და ოსმალეთის ომი

(გაზეთებიდან).

სტამბოლი.

ამბობენ, ეგვიპტელებს სალუმი იმ პირობით დაუთმეს, თუ ინგლისი იტალიის ფლოტს არქიპელაგში მოქმედების ნებას არ მისცემსო.

სალონიკი.

დურაცოდან იუწყებიან, ნავთსადგურს იტალიელთა ექვსი სამხედრო გემი მოუახლოვდაო.

ლონდონი.

მალტიდან იუწყებიან, იტალიელთა ჯარმა გარიანზე გაილაშქრაო.

პარიზი.

საფრანგეთმა არ შეიწყნარა იტალიის თხოვნა,—რათა ტრიპოლიში ოსმალთა დასახმარებლად მიმავალ ავიატორებისთვის ტუნისით გზა შეეკრათ.

სალონიკი.

ოსმალთა ჯარის ორი ბატალიონი დურაცოს გაჰგზავნეს, მათ იტალიელების გადასვლას უნდა შეუშალონ ხელი.

ბრიუსელი. ბელგიისა და ნიდერლანდიის მთავრობამ ოსმალთათვის ავიატორების შოგროვება აკრძალა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 დეკემბერი

საზღვარ გარეთ.

ქაირო. მადიზიაში მსახურთ კვირაობით დასვენება მოითხოვეს და მანიფესტაციები გამართეს მძიმედ დასჭრეს 2 პოლიციელი და 3 მანიფესტანტი.

მელილია. ტურირტასთან 10 დეკემბერს მომხდარ ბრძოლაში ესპანელებს ერთი ოფიცერი და ექვსი ჯარისკაცი მოუკლეს.

პრაგა. ჩეხელთა სოციალ-დემოკრატების კონგრესში მონაწილეობდა 500 დელეგატი; სლოვაკელებისა, პოლონელებისა, უკრაინელთა, რუსეთისა, ჩეხეთა და ჩრდილოეთ ამერიკის წარმომადგენელნი. გერმანელები არა ყოფილან. კონგრესმა უნდა გაიხილოს გერმანელთა სოციალ-დემოკრატებისა და სოც.-დემოკრატ ავტონომისტების უთანხმოება.

მელილია. ესპანელებს რამდენიმე ათასი მკვიდრი თავს დაესხა ხელმეორედ და დიდად დაზარალდა. მოკლულია ოთხი ოფიცერი.

ბერლინი. კიდერლენ ვეხტერს პირველი ხარისხის ბრილიანტიანი წითელ არწივის ორდენი უბოძეს.

რუსეთი.

მოსკოვი. გუჩკოვის თავმჯდომარეობით ოქტომბრისტთა ცენტრალურ კომიტეტის სხდომა მოხდა.

პეტერბურგი. პოდოლიის ვიცე-გუბერნატორი ბიბიკოვი არხანგელსკის გუბერნატორად დაინიშნა.

ტფილისი. შუშის, ყარიაგინისა, ჯავანშირისა, ელისავეტოპოლისა და შემახის, გოკჩისა და განსაკუთრებით დერბენტის მაზრებში მცენარეთათვის მავნე მწერების კვერცხები იდოთ ჩენიათ. ნამესტნიკის ბრძანებით უნდა ზომები შეიმუშაონ ამ მწერების მოსასპობად; 120,000 მანეთია საჭირო.

რიგა. მომავალ წლის მაისში შვეციასთან საბრძოლველ ზომების შესამუშავებლად საერთაშორისო კრება მოხდება.

ხარკოვი. საერობო კრებამ 145,000 მანეთი გადასდო იაფიათა თავშესაფარის ასაგებად.

მაკარიო. (ნ. ნოვგოროდი) სერგაჩის მაზრის სოფელ ყინთვში ცეცხლის დროს დაიწვა ერთი გლეხი.

კავკაზი. დაიწყო უგანათლებულესი თავად დადიანების საქმის გარჩევა, რომელსაც თავად დადეშქელიანის მოკვლაში მონაწილეობა ედება ბრალად.

პეტერბურგი. ციმბირის ერობას 25000 მანეთი მიეცა მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთ სამკურნალო შემწეობის აღმოსაჩენად.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლე ხანში გამოსცემს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულებებს სენატისა და სამინისტროს განმარტებით.

წერილი რედ. მიმართ

ამ წლის 15 ოქტომბერს დ. ქიათურის თეატრში გაიმართა მეჯლისი—სალამო, რომლის შემოსავალიც დანიშნული იყო ქარ. შ. წ. კ. გ. საზოგად. ადგილობრივ განყოფილებისათვის. შემოსავალი იყო; ბილეთების გაყიდვით—400 მან., შემოწირულება—25 მან., ბუფეტმა, ბანქომ, ყვავილებმა და ტკბილეულობამ დასტოვა—591 მან. 34 კ. სულ შემოვიდა—1016 მ. 34 კ.

აქედან დაიხარჯა—მარკებზე—20 მან., თეატრის ქირა—15 მან., ბუფეტზე—166 მ. 49 კ., სამხედრო მუსიკასა და ზურნაზე—62 მ., სცენისა და თეატრის მორთვაზე—40 მან., ჭურჭლის ქირა—22 მან. 97 კაპ. და სხვა წვრილმანი ხარჯები სულ—499 მ. 16 კ.

საზოგადოებას წმინდა შემოსავალი დარჩა—517 მ. 18 კ. ამასთანავე ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქიათურის განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ამ სალამოს მომწყობსა და დიასახლისს ქნ მარიამ ალექსანდრე მაჭუტაძის ასულს წერეთლისას და აგრეთვე იმათაც, რომელნიც მას დაეხმარნენ ამ საქმეში—ქნ. ა. ჩიქოვანისას, სანდრო კავსაძეს, დ. მესხს, აპ. წულაძეს, გ. გელაძ, ვლ. შალიკაშვილს, ბ. გოლდენტრახტს და აგრეთვე ყველამათ, რომელთაც ასე თუ ისე ხელი შეუწყეს სალამოს გამართვას.

ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქიათურის განყოფილების **გამგეობა.**

ანგარიში.

პირველ ნოემბერს წარმოდგენილ იქმნა დრამა „დამნაშავის ოჯახი" „ნაძალადევი"-ს თეატრის სასარგებლოდ. გაყიდულ ბილეთებიდან შემოვიდა 228 მ. 25 კ. საპატიო ბილეთებით შემოვიდა 89 მ.—სულ 317 მ. 25 კ. დაიხარჯა: თეატრის ქირა 80 მ.—მარკებში 17 მ. 58 კ. ტანისამოსის შესანახში 29 მ. 80 კ. სხვა და სხვა ხარჯები 53 მ. 53. კ. სულ 180 მ. 91 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 136 მ. 34 კ. სცენის მოყვარეთა წრის „ნაძალადევი"-ს გამგეობა ულრმესს მადლობას უძღვნის ქვემოდ დასახელებულ მსახიობთ, რომელთაც უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში და წრეს მისცეს საშუალება, თავიანთ უანგარო შრომით, თეატრის შენობის დამთავრებისა. ქ-ნთ: ნ. შ. დავითაშვილს და ვიქტორელს. ბბ-ნთ: ვლ. ალექსი-მესხიშვილს, გ. გედევანოვს, ნ. გვარაძეს და სვ. სვიმონიძეს. წრის გამგეობა მადლობას უძღვნის აგრეთვე წარმოდგენაზე დამსწრეთაც.

წრის გამგეობის თავმჯდომარე: **ა. ქობულაშვილი.** წრის გამგეობის წევრი: **დვალიძე ავგ. ბოტტი, ვლ. ლობაბერიძე ალ. ნაცვლიშვილი**

წრის გამგეობის მდივანი: **იასონ ფანიაშვილი.**

ბატონო რედაქტორო, ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ „ჯეჯილის" რედაქტორს ქ-ბ. ანასტასია წერეთლისას, რომელმაც შემოსწირა ცხის უფასო სამკითხველოს საბავშო ჟურნალი „ჯეჯილი" 1901, 1905, 1906, 1907, 1908, 1909, 1910, 1911 წლებისა.

მადლობას ვწირავ აგრეთვე ქ-ბ. სონა გურგენიძისას, რომელმაც გამოუწერა ჩვენს სამკითხველოს გაზეთი „Закавказская Рѣчь".

სამკითხველოს გამგე

ხამხონ კალანდაძე.

გამოცდილმა მასწავლებელმა ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა—მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. — **მიღებულია პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე. საბებიო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და ს ტეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩანახთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

ილებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება სალამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1
входъ съ подъѣзда нижній звонокъ
спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. N 38.
(недалеко отъ памяти. Воронцову).

(თ. 1084.46)

სილამაზე უმაღლეს ხარისხამდე!



№ 4711.
მარდის ფერი ბროლი!
საპონი
კანსა და პირი-სახეს ისეთ სინაზეზა, გაწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება
ფერდ. მიულჰენსი
პარფიუმერია N 4711.
კიოლნი ნ. რ ● რინა.
დაარსებული 1792 წ.

ერთი ნაჭერი 25 კ
ყველგან იშოვება

Мотцль. 352138
352158

(9.1537 5)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. კოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირაებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. **ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. **ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. **მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. **აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. **პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. აველიხიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606 წამლობა, კონსულტაციურად.**

ღირს 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. (1168—202)

სოფელს დვგრისში, ცხინვალის ბოლოს, **იყიდება** საგარაკო სახლი, ხუთ-ოთახიანი, საჯინიბოთი და ყოველის გამართულობით. სახლი სდგას 1000 ოთ.-საჟ. მიწაზედ, რომელიც სავსებით არის დარგული ძვირფასის ხეხილით. ყიდვის პირობების შესატყობლად მყიდველს გთხოვთ მობრძანდეს წყნეთის მიხაზვეში, სახლი უზნაძისა, N 3. იკითხეთ ქვრივი უზნაძისა. (2.982.1)

ვიღებ საეკლესიო სამხატვრო საქმეებს. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ **სოფ. პრიუტში,** მანგლისის გზ. **ტფილისის მაზრა, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.**

(28—958—15)

უდიდესი ძღვენი
სიცოცხლეში ერთხელ!!!
600 ნივთი მხოლოდ 3 მ. 90 კ.

1. მოხდენილი საათი ანკერ, სწორედ მომუშავე, 6 წლის თავდებობით.
2. მშვენიერი ბეჭედი ქალისა, ამერიკულ ბრილიანტით.
3. საუცხოვო ყელსაბამი ქალისა, უთვალავ მარგალიტით და პატენტ. შესაკრავით.
4. საუცხოვო და ლაზათიანი სამაჯური ქალისა, ამერიკულ ოქროსი „დუბლე".
5. მოხდენილი ნესესერი ჯიბისა, ოთხის ნივთით.
6. ერთი წყვილი საყურე ამერიკულ საუცხოვო ბრილიანტით და პატენტ. შესაკრავით.
7. ლაზათიანი და მოხდენილი საფულე ტყავისა.
8. ალბომი 50 საგულისხმო სურათით.
9. მუშტუკ-აპარატი ექიმ კოხისა, თუთუნის უვნებლობისათვის.
10. მექანიკურად სავეტი მაკრატელი, საუცხოვო ბუდით.
11. და 500 მეტი საგულისხმო და გამოსადეგი ნივთი.

სულ 600 ნივთში, მათ შორის საათიც, მხოლოდ 3 მ. 90 კ. განკარგულებთ. (მარტო საათიც ღირს ამ ფასად).

ფას-დადებით გაგზავნა ერთიდან სამ გარნიტურამდე, თუ ერთად გაიგზავნება, ღირს 55 კ. ციმბირისათვის 95 კ.

მისამართი: О—ву „Меркурій", Лодзь, с. 10. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ და ფულს ვუბრუნებთ.
მეტცლ. 83221. (6—1631—2)

იაფობა.
დეპო ლამფებისა და ჭურჭლისა,
მიხეილის პროსპექტზე, დოროქნოვის გვერდით, მიხ. ქუჩ, № 83.
ევროპიული მაღაზია
სამოზაო ბაზარი.
პატივცემულ საზოგადოებას ვაუწყებ, რომ დღესასწაულებისა გამო დანიშნულია დიდი
იაფი ვაჭრობა.
ფასები ყოველ მეტოქეობის გარეშეა. (2.1638.1)

გამოვიდა და იყიდება
თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა: წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ფ. 75 კ.
„ „ წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა" . . . ფ. 80 კ.
„ „ წ. III. „ნააზრევი" . . . . ფ. 65 კ.
„ „ წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . . . ფ: 85 კ.
Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა" . . . . . . ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა: «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. ს. კ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

აგენტი
მ. ა. გაჩონია
ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტებად ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანოხისა" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკატების გაკვრის საქმეში.
მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.
მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს და საღამოს 4—5½ საათამდე.

განცხადება ამით ვაცხადებთ, რომ ახლო მომავალში ბაქოში არსდება კანტორა განცხადებათა უზრუნველმყოფელ სათავეებო თანხით, შემდეგის ფირმით:
კავკასიაში პირველი საერთაშორისო კანტორა განცხადებათა
„კავკაზი"
განცხადებათა კანტორა განცხადებასა და ხელმოწერას მიიღებს ყველა ადგილობრივ, სხვა ქალაქთა და საზღვარგარეთელ ჟურნალ-გაზეთებისას.
განცხადებათა მიღება აღმოსავლეთის ენებზე განცხადებათა მიღება
აგრეთვე გამოსცემს ფრიად გავრცელებულ ყოველგვარ რეკლამებს ყველა ენებზე, პლაკატებს, ბროშურებს, პრეისკურანტებს და სხვა. ვასრულებთ თარგმნას რუსულად, ქართულად, თათრულად (სპარსულ-ადერბეიჯანულად) და სხვა ენებზე, თარგმნის სისწორეზე პასუხს ვაგებთ. კანტორის დაარსების დღესა და მისამართ ცალკე გამოვაცხადებთ ყველა გაზეთებში. **დროებითი მისამართი:** Баку, Николаевская ул., редак. гав. „Ени-Иршадъ". Тел. 21—12. Почтов. ящикъ 258. პატივისცემით გ. იაკობლევი, მ. ჯაბბაროვი და ა. მურადოვი. (8—1632—2)

სტამბა „შორაპანი" მიდათოვის კუჩძული

რედაქტორ-გამომცემელი ს. ქურდღელაშვილი.